

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უწყებების გარდა, დღის 9—3-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება; დაბეჭდვადი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ იხილება; იხილება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოხირობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: თბილისი, რედაქცია „საქართველო“, პოჩ. ყაჩიქ № 76

ქვეყნის მთლიანი ფასი ჩვეულებრივ სტრუქტურის პირველ გვერდზე შეტანილი ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრუქტურის პირველი 1 გვერდი 40 კაპ. 4-ზე 20 კაპ., ტექსტური—60 კაპ. სამედიცინო განცხადება თითოეული საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახებვე) 2 მან., კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მან. დამატებითი 2 ღირს ყველაგან 7 კაპ.

წელიწადი საქართველო წელიწადი გეორგი.

უპირველესად ღირს: ყოველ-კვირულ სურათებიან დამატებით ერთი წლით 8 მ. 50 კაპ. 6 თვით—4 მ. 50 კაპ. 3 თვით—2 მ. 50 კაპ. 1 თვით—80 კაპ. თვითურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიები: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამედიცინო განცხადება ჩვეულებრივი ფორმა ღირს 3 მან. ნაშუადღევ-ვის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დღით—9—3 საათამდე საღამოთა—5—7 საათამდე. ფოსტის მიხამართი: თბილისი, მოსკოვსკაია უღ. № 4, დომუ გაბაევა. Почтовый ящик № 76.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდრა შანშიაშვილი.

მოდური მაღაზია

მ. ბაშარული

სასახლის ქუჩაზე

იძოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეუდი საქონელი

მსოფლიო ევროპიული

(—83—10)

ახალ კლუბის დარბაზი

ქარ. კულტ. მოყვ. საზოგად. თაოსნ.

კვირას, 24 აპრილს დავით კახაბის მიერ წაითხულ იქნება ლექცია **უხლო რაზმალნი და გათი „სისუპრი უანეზი“**.

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. ფასები 1 მან., 50 კაპ., და 20 კაპ. დასაწყისი ნაშუადღევს 12¹/₂ საათზე.

ბილეთები ისყიდება „საქართველო“-ს რედაქციაში 9—3 ს.-მდე.

სახალხო სახლი

ორშაბათს 25 აპრილს ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ტრალ. 5 მოქ. **კავალეტი** ვ. შექსპირისა, თარ. და 9 სურ. ივ. მაჩაბელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ., ქიქოძე ანტონა, ბეგნიანი ს., აბაშიძე ვასო, გუბია ვალ., გომელაური ზაქ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ალ., იშხნელი გ., ზარდალიშვილი ი., მანფორია ილ., სარაული კ., კორიშვილი პ., გვარამია ნ., ვარვარაძე ვ., გედევანიძე გ.

წარმოდგენის დასაწყისი საღ. 8 ს. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადგილებს ფასი 15 კაპ.—დან 1 მ. 50 კაპ.—მდე.

ავლაბრის სახალხო ქართულ წარმოდგენათა მმართველი წრის მიერ შაბათს 23 აპრილს

მსახიობთ ქ-ნ ნ. დავითაშვილისა და ბ. გ. გუნიას, ა. იმედაშვილის და ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ყარაღები

ტრალ. 5 მოქ. შექსპირისა. რეჟისორი ი. ივანიძე. გამკვ. ზ. ხატიაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8¹/₂ საათზე. ადგილებს ფასი 30 კაპ.—1 მ. 50 კაპ. (1—160—1)

უეზის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრეაშვილისა

ანდრას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირებულების შეშა

შვედლანდიის ხელმისაწვდომ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამწიდავი ურემები და კისრულობს შინ მიტანასაც (103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

„მელანდი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და აგვ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები (112—წ.)

საუკეთესო კახური ღვინის საწყობი

აღამ უზრავის ძის

ბერელაშვილისა

მთავსებულა მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი. (102—წ.)

პეპელის სამკურნალო

(შინისთვის ვაგლის აუთიპის გვერდით)

სამკურნალო ყველა ექიმება

პეპელის განახლებს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დღის 11—2 საათამდე.

გერევე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანიხა მიიღებს დედათა სწეულებით ავადმყოფთ დღის 10—11 საათამდე. (თ.—126—21)

ზუგლაშვილის სახალხო სახლი

დღეს, 23 აპრილს 1916 წ.

გვიგონო ამავლობით ქართულს ენაზე წაითხავს ლექციას

ოგი და თანამედროვე ქართველი დელააკი

თეზისები: 1) ცხოვრება და იდეალი; 2) ერთი და პიროვნება; 3) ერთი—როგორც უკვდავი ინდივიდუალიზმი; 4) ქალი და სამშობლო; 5) ქალი—როგორც საუნივერსიტეტო ცხოვრების; 6) ქართველი დელააკის როლი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში; 7) წმ. ნინო, თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი და სხვ.; 8) თანამედროვე ქართველი დელააკი და არცინაშვილის ნაწინა; 9) თანამედროვე ქართველი დელააკი ცოდვები სამშობლოს წინაშე; 10) ქართველი დელააკის ავტორიტეტული შეფასებები ჩვენი ერის ავტორიტეტის; 11) თანამედროვე ქართველი ინტელიგენტი დელააკები; 12) სიმბოლოები ქართველი დელააკისა გამოვლენისა საოლქის მიხედვით. ლექცია შესდგება ორ ნაწილად. დასაწყისი დღის 12 საათზე. (1-159-1) ადგილებს ფასი 1 მ.—დან 15 კაპ.

საბალანსარიო მაღაზია

არ. ივ. ჭავჭავაძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მინთაშვილის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საბალანსარიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი (101—წ.)

ლომთის მიდევინისა

მოსე ანთიმოსის მე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სწეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლქის ქუჩა, № 3, სახლი მელიქი-ბაბრინისა. ტელეფონი, 17—21.

ოგის ამბები

ოგის დეკლარაცია

შეშველს მთავარსადამის შტაბისა.

პატრონადი. 21 აპრ. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. მტერი ზარბაზნებს უშენს იქსკიულის და დენისკის მიდამოებს, დენისკის სამხრეთ-დასავლეთით. დენისკის მიდამოების სამხრეთით სხვა და სხვა ადგილებში მტრის მფრინავები გამოჩნდნენ და ყუმბარებს უშენენ. კრევის დასავლეთით მკაცრი საარტილერიო ბრძოლა, ამ ბრძოლის დროს ჩვენმა ზარბაზნებმა, გერმანელთა ჰაეროსტატი, რომელიც მტერს ნიშნებს აძლევდა, ააფეთქა.

კავკასიის ასპარეზი. ბიბურთის მიმართულენით ოსმალებმა იერიში მიიტანეს იმ ადგილებზე, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ ვაერთეთ. მტრის იერიში მოვიგერიეთ. ამის გარდა მტერმა ერზინჯანის მიმართულენით დამით მოიტანა იერიში, რომელიც მოვიგერიეთ.

პარაში, 20 აპრილი დღის ცნობა. არგონებში, არტილერიის ბრძოლის შემდეგ, მტერმა იერიში მიიტანა ლავრს მიდამოებში მთელი დამე გრძე-

ღებობა საარტილერიო ბრძოლა, რამაც დილით საშინელი სიმაფური მიიღო. დღისით საარტილერიო ბრძოლა ჩვეულებრივად მიმდინარეობდა. სხვა ადგილებში სიმშვიდე.

ლომთის, 20 აპრილი. ოფიციალი. გუშინდელ თავდასხმაში 5—6 ცენ-ს(იხველინი“ იღება მონაწილეობას. იტყებლინი“ დიდ მანძილზე იყო ერთი-ერთმანეთზე დაშორებული. სულ 100 ყუმბარა ჩამოვადეს. ერთ ადგილას მოკლულია 9, დაჭრილია 27 და 19 შეშობა დაზიანებულია. მათ ზარბაზნები დაუშინეთ, რის გამოც იძულებულნი იყვნენ მიმალულიყვნენ.

ქურნალ-გაგათიგლან

რუსეთის ასპარეზი.

რიგის მიდამოებში, იქსკიულის ციხე-სიმაგრეებთან გერმანელებმა ზარბაზნები აამუშავეს. მტერი დიდად დაინტერესებულია დენისკის მიდამოებით, სადაც გამოჩნდნენ მისი მფრინავი რაზმები და ჯერ-ჯერობით თუმცა ვერც იმარჯვეს, მაინც ეცდებიან მიაღწიონ მიზანს ნაროის ტბასთან, მტერის მითქმის შესრულა სურვილი და დაიბრუნა დაკარგული თხრილები. ომის ქარ-ცეცხლი სმორგონსაც მოედო და აქაც გაისმა საშინელი გრილი ზარბაზნებისა.

საბერძნეთში.

შვედურმა გაზეთებმა სენსაციონური ამბავი გამოაქვეყნეს. „Dag. Nyheter“-ის კორესპონდენტს უსაბურთა ათინაში გამოჩნდნენ პოლიტიკოსთან, რომლის საუბრიდანაც ჰქანს, რომ საბერძნეთის, რუმინეთის და ბულგარეთის შორის კავშირის შუგავსი ხელშეკრულება დაიდვა. ამ საქმეს დიდ უწყობენ ხელს მეფე კონსტანტინე, რომელსაც მიწერ-მოწერა აქვს ორივე ფერდინანდებთან და საბერძნეთის დიპლომატიები.

რუმინეთში.

„რუსკ. ვედ“-ის სიტყვით, ოსმალეთ-რუმინეთში შექმნეს საეპრო კავშირი.

ირლანდიაში.

დუბლინიში შუკრობილ მეამბოხეთა შორის, ბევრი გერმანელი აღმოჩნდა. ამბოხების მსხვერპლი დუბლინიში 1,200-ზე აღის, მათ შორის ბევრია ბავშვი და დედაცა, შემთხვევით მოკლული.

ვერდენი.

„Berliner Tageblatt“-ში, პოლოკონიკი მუხრატე ჰსწერს: ფრანგებმა, თითქმის ავგალებინეს ხელი ვერდენზედ. ეს, რასაკვირველია გამოწვეულია მათი თავმოყვარობის გამო.

ექვი არაა, გერმანელები, ახალ მოქმედებას განაცხადებენ ვერდენთან, რათა შეასწორონ თვისი შეცდომა. საფრანგეთის გაზეთები დიდად აფრთხილებენ ფრანგებს მოსალოდნელ ხიფათისაგან. გერმანელები არას გზით არ დასთმობენ ვერდენს. ივინი მხოლოდ მოკლენ ხნით არიან შეგრებულნი; რათა შეეცნონ დანაკლისი, სალონიკში მოსული ცნობებით, გერმანელებმა ბლომა ჯარი გადაიყვანეს მაკედონიდან ვერდენთან. ჰვეგელი დორიანში, მხოლოდ ორი დივიზია დასტოვეს.

18 აპრილიდან

პასუხალი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ ტ. ვამბაძემ მიმღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გულდისთვის, მიღება და ჩაწერა მიხედვით კავსახისთვის (ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხ-შაბ. ტ. პარიკეობ. საღ. 6-9-დე) განსავლი მუშა ხალხსაც.

მთიში-ღმრთაქარი

მ. გ. მუხაქი

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კირონი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ბულგარული ჯარი, ინგლის-საფრანგეთის ასპარეზზედ, სულ 200 ათასია, ხოლო დანარჩენი ნაწილი გაგზავნილია რუმინეთის სასლავრზე.

ტრაპიზონი.

„არგის“ კორესპონდენტის ზღანევიჩის სიტყვით, ტრაპიზონში დარჩენილია მხოლოდ 15,000 ბერძენი; ოსმალები გაიქცნენ, ხოლო სომხები სულ გაუშვლეთათა. სარწმუნო წყაროების მიხედვით, სომხთა ტრაპიზონის ეკლესიის, სრულდებით გაუშვლეთათ. ხალხთან ერთად განადგურებულია მათი სახლები. თეთროს ქალაქი გადარჩა მიწიდან ალგვას. მალაზიები და სასტუმრონი, გაღებულა, მაგრამ ყველგან საშინელი სიძვირე ჰქვოვას.

საბერძნეთი და მოკავშირეები

დიპლომატიურ ცნობებიდან ვგებულობთ, საბერძნეთი წინამდებელია კორფუს კუნძულიდან სალონიკში სერბეთმა საბერძნეთის მიწაყალზე ჯარი გაატაროს. დღემდე არავითარ შთანხმებამდე ამ საკითხის შესახებ არ მისულან, თუმცა მოკავშირენი იმედოვნებენ, რომ საბერძნეთს როგორც და-იპოვებენ, მიუხედავად ყველა იმ ავადმყოფებისა, რომელიც მათ წინ ეღობებათ. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ ფრანგების და ინგლისელების სამხედრო პირები. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის მთავრობა გულუხვია გულსწყრომის გამოცხადებაში. ერთი კვირის განმავლობაში საბერძნეთის ნეიტრალიტეტის დარღვევისათვის საბერძნეთმა 6 გულსწყრომის ქალაქი გაუგზავნა სხვა და სხვა სახელმწიფოს. ვენიზელის კაბინეტის შეცვლის შემდეგ მეომარ სხელმწიფოთა სულ 63 დიპლომატიური გულსწყრომა შეუთვალა. ამგვარად, საბერძნეთის ხმს ეკარგება მნიშვნელობა და ღირსება, და არავინ იცის, თუ როგორ პასუხს გასცემენ საბერძნეთის მოკავშირენი, რომ სერბეთის ჯარის მოქმედებას ხელს უშლიან.

ამბოხება ირლანდიაში.

ინგლისის პრესა ერთხმად აღნიშნავს: გერმანელთა ორი მიზანი ჰქონდათ, როდესაც ირლანდიის ამბოხებაში ჩაერივნენ, პირველი—უნდოდათ ირლანდიაში ინგლისელთა ჯარი მტერი დაბანდებულყო და მით ხმელეთზე ძალა შეესუსტებინათ; მეორე—ცდილობდნენ შეერყიათ ინგლისელთა სულიერი განწყობილება, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თანამედროვე მსოფლიო ომში. გერმანელები ცდილობდნენ ირლანდიელ რევოლუციონერებთან შეიძრო კავშირი ჰქონოდათ და ცდილობდნენ დახმარებას გაეწიათ, მაგრამ იმედი გაუცრუდნათ.

ასკეტი და სამხედრო ბეგარა.

ლონდონიდან იტყობინებინ: მთავრობამ სერეთო ბეგარის საკითხი გადასდო, რაც აღმოუჩინებლად იწვევს მცხოვრებთა შორის. მთავრობის ამგვარი საქციელი უნდობლობას იწვევს ასკეტიტის კაბინეტისადმი, რასაც შეიძლება არა სასურველი შედეგები მოჰყვეს. მთავრობამ თან რამე კომპრომის უნდა დაადგეს, ან კიდევ დააჩქაროს საერთო ბეგარის საკითხის გატარება. უკანასკნელ შემთხვევაში მოსალოდნელია სამინისტროს კრიზისი და

საზოგადოებრივი საზოგადოება

აღნიშნულ საზოგადოებაში დაარსების დღიდან (1915 წლის 12 აპრილი) ამ წლის 1-ლ იანვრამდე წევრებად ჩაწერილა 248 კაცი. ამ რიცხვიში 5 საპატრიოტო წევრია: მისი იმპერატორობითი უფლებამოსილება დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ი. უ. ალექსანდრე პეტრეს ძე პრინცი ოლდენბურგისა, გომფისტერი ა. ვ. კრივიშინი, გომფისტერი ნ. ლ. პეტრისონი და აწ განსვენებული გრაფი ი. ი. ვარანცოვ-შაიკოვი. დამაარსებელი წევრები ყოფილა 97, ნამდვილი 141. საზოგადოებას არჩეული ჰყავს სამი მუდმივი კომისია: სამეცნიერო, ცნობების შემკრები და გამომცემელი; საზოგადოების ჰყავს არჩეული 7 დროებითი კომისია: 1) აბსტრუქციანთა, 2) ბორჯომისა, 3) დელინისა, 4) შავი ზღვისა, 5) ახტალის საიდგომლო-იურიდიული, 6) ახტალის ბანდოლოგიური და 7) ახტალის იჯარო-აშენი. შარშან საზოგადოებას გაუმართავს 6 საზოგადო და 4 საჯარო კრება ცნობების გამომცემების ხასიათისა; საზოგადოების სამკომ 20-ჯერ ჰქონია კრება. საზოგადოებას მცოდნე კაცები გაუგზავნია ცნობების შესაკრებლად და წევრებთან გაზიარებულად წყალობის, ბორჯომს, ახალციხეს, დილიჩანს და შავი ზღვის ნაპირებში. საზოგადოებას შემდეგი შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის წინაშე, რათა გზები გაიყვანონ: 1) ქუთაისი და წყალტუბოს შორის, 2) სოხუმი და ზუგდიდის შორის, 3) ეკატერინოპოლისა და ასესულის მდინეებს შორის და სხ. საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ 1) ლონისიძე იქნას მიღებული, რომ აბსტრუქციანთა რაიონში აღიკრძალოს ტყეების მოსპობა, 2) აღიკრძალოს იქნას, რომ ახტალის მდინეულ წყაროებს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და 3) გამორკვეულ იქნას საზღვრები მდინეულ წყაროებისა, რათა წყაროები სუფთად შეინახონ.

ტრაპიზონი

რაკი ლაზისტანს უბედურება ეწვია, მასში მცხოვრები ქართველებიც დიდ დევნას მიეცნენ, ბევრი ბრძოლის შემდეგ, ქართველ ლაზებს ურეტესობა ისლამს დაეუბრებინა, ზოგი დარჩა ქრისტიანად, მიეყვანნენ ბერძენებს და მათის დახმარებით დიციეს თავი. ხოლო საბერძნისოდ კი მათაც ეწვიათ ეროვნული უბედურება და როგორც ქართველმა მამადაინებმა ქართველი ენა დაკარგეს და ქართულის მაგიერ ოსმალური შეითვისეს, ისევე მართლმადიდებელ ქრისტიანად დაშინებულ ქართველებსა, ბერძენთა ზეგავლენით, ტრაპიზონის ქართველი ენა და დღეს იგინი ბერძნულად ლაპარაკობენ ტრაპიზონს და მასთან მთელ ვილაეთში. ერთი ნაწილი ქართველობისა დაუკავშირდა კათოლიკის სარწმუნოებას, ლათინის წესის როგს და მათი რიცხვი იმოდელი გახლდათ, რომ რომის ტახტამ ამ ქართველ კათოლიკეთათვის, ტრაპიზონს, XVII საუკ. ეკლესია და სკოლა გახსნა. ეს ეკლესია დღესაც არსებობს ტრაპიზონში და რომელი ეკლესიაც ქართველ კათოლიკეთ ტრადიციონალურად და ტრაპიზონს აქვს მდიდარი სამკითხველო, სადაც მრავალად არის დაცული სხვა და სხვა ისტორიული ცნობები, რომელნიც შეგრიბილი და დაცულია ქართველ ლათინის წესის რიცხვი პატრიარქისაგან. დღეს კი ტრაპიზონში ეს ქართველ კათოლიკენიც ეროვნულად დაკარგულნი არიან და იგინი სომხურად ლაპარაკობენ. ერთი ნაწილი დევნილი ქართველებისა დაუკავშირდა გრიკოთაობას, მათი რიცხვი ტრაპიზონის ვილაეთში საკმარისი უნდა იყოს და თვით გამამადაინებულ ებრაელებიც, რომელთაც ზოგნი სომხის გვარისად სთვლიან ამ ებრაელებს, თვით ამაშია კი მრავალად უნდა გახლდნენ ქართველ გვარის განსვენებული ქართველები, რომელთაც ემთა ვითარების წყალობით ქართული ენა დაკარგეს და დღეს სომხურად ლაპარაკობენ. ასე თუ ისე, ლაზისტანში, საითაც კი ქართველებმა ფეხი გადადგეს და რომელიმე რუგულ შეუერთნენ, ყველგან დაკარგეს ქართული ენა, გადაგვარდნენ და თავიანთ ქვეყნის წინაშეც ეროვნულად დაკარგნენ. ტრაპიზონში და მასთან მთელს ვილაეთში დაარჩნენ მხოლოდ ქართველი ებრაელები, ასეთების რიცხვი ტრაპიზონში 500 კომლი იყო XVII საუკ. და მთელს ვილაეთშიც ასე 1000 მოსახლემდ მეტი. ებრაელებმა ტრაპიზონში, რადგან

ნაც ერთს კუთხეში სცხოვრებდნენ, შეინახეს ქართული ენა, ტრაპიზონის გარეშე კი რადგანაც ებრაელები სომხურად გაიფანტულნი სცხოვრობდნენ იქით დაკარგეს ქართული ენა და ოსმალური შეითვისეს. ტრაპიზონში იმ კუთხეში, სადაც ქართველი ებრაელები სცხოვრობდნენ, მიუღ მხარეს ოსმალურად „ქართველი კუთხე“ ეწოდებოდა. ქართველ ებრაელთა წყალობით, მთელს ტრაპიზონში, ქართული ენა დაცული იყო და ვაჭარ ებრაელთაგან მთელს ქალაქში ისმოდა ქართული სიტყვები. ერთს სიტყვით, აქაც ებრაელნი ისე იცავდნენ ქართულ ენას, როგორც მათ დიციეს ქართული ენა მესხეთსა და ჯავახეთში და ნამეტნავად ახალციხეს. 1870 წლის შემდეგ კი, რადგან მიზეზების გამო, ტრაპიზონიდან ქართველმა ებრაელებმა აქეთ იქით გასვლა იწყეს ვაჭრობის საქმეთა გამო. რაკი ტრაპიზონში ამითი რიცხვი დიდიქანა, ქართული ენაც შეიგყარა ტრაპიზონში და მთლად მოისპოა ქართული ენის ხმარება მთელ ქალაქში, მინამდის კი ვიდრე ებრაელები ერთად სცხოვრობდნენ, მინამ ტრაპიზონში ქართული ენა მკვიდრად არსებობდა და კაცი ადვილად ნახავდა ამ ენის მცოდნე კაცს ტრაპიზონის ქუჩებშია. ის ვარემობა, რომ ებრაელები ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ, ტრაპიზონში ეს ყველა ტომის კაცმა კარგად იცოდა. ტრაპიზონში ქართველ ვაჭართა ორი ქარავსლა არსებობდა 1879 წლებამდის, ტრაპიზონში საჯაროდ გადადიოდნენ ახალციხელი ვაჭრები და იქ ის დადგურებდნენ კარგა ხანს ამ ქარავსლებში. აქ ყიდულობდნენ ფორთხალს, ლიმონს, ზეთისხილს, ლუგებს, თაფლს, წყ. სანთელს და იმერეთსა და ქართლში გადმოჰქონდათ გასასყიდად. ეს ვაჭრები ქარავსლები მოსპოა 1880 წლებში შემდეგ, ვინადგან აქ საქართველოს ვაჭრებმაც ამოიკეთეს ფეხი. ვიცით, რომ ტრაპიზონში იყო ერთი დიდი სახლი, საქართველოს მეფეების სასახურება, სადაც ისაღდგურებდნენ ხოლმე ქართველი მეფენი, ბატონი-შვილები და სხვა და სხვა მოგზაურნიც; რომელნიც სტამბოლში მოგზაურნიც ბრუნდნენ ხოლმე საქართველოში. ეს სახლი ისეთი ფართო ყოფილა, რომ 300 კაცს იტევდა სადგომათა. ამ საკითხის შესახებ აი რა მიაგმა 100 წლის მოხუცმა ხუსეინ ქაიჯარამ შემ ქართველმა მამადაინებამ, რომელ მოხუცმა, ქობულეთელმა. აქ ეს სიტყვა-სიტყვით მოგვყავს: „ჩვენ, ბატონო, იმ დროს ვიყავ კი დილოკანდი, როცა რუსები იმერეთში მოვიდნენ და აიღეს, მაშინ სოლომონ მეფე თავის კაცით ქობულეთს გაიხლენ, აქაურ ბეგებმა სოლომონ მეფე ტრაპიზონს გაისტუმრეს, ქართველობამ 300 კაცი გააყოფეს ტრაპიზონსამდის, მეც იმ კაცებში ვერეი, მეფე ტრაპიზონში მიბრძანდა, ჩვენც მასთან ჩამოვყბით მის საკუთარ სახლში, დიდი სასახლე იყო, ამისთვის იტყოდნენ, რომ ის სახლი ქართველ ხელმწიფეების და ფაქიშკების იყო. ამიტომ სოლომონ ბატონიც იქ ჩამოხტა, ჩვენ სამ დღეს დავისვენეთ, მეფემ საჩუქარი გვიბოძა და მეოთხე დღეს სახლში გაგვიგზავნეს, ქართველობა და საჩუქრები ნახევარს, კათოლიკე ბერებმა ვაკეთეს კარგი ეკლესია. ეკლესიის გვერდით ვაკეთეს მოგზაურთა სადგომი სასახლე და მასთანვე სამკითხველო და საეკლესიო არქივი. საქართველოს გარეშე, ოსმალეთში, ეს ადგილი იყო მეორე მაგარ პირველი ბინათ სადგური კათოლიკის ბერების და მისიონერების უსათუოდ აქ ბინადგობდნენ ხოლმე. ევროპიდან მოგზაურნი ზღვიდან ტრაპიზონში გადმოხტებოდნენ და აქ ისაღდგურებდნენ, ასევე საქართველოშიც წასულნი პირველად ტრაპიზონში ისაღდგურებდნენ და მერე გაემგზავრებოდნენ აქედან ოსმალეთის სხვა და სხვა ქალაქებსა და ეკლესიაში. საქართველოს კათოლიკების მისიონერთა ბინა ტრაპიზონი გახდა. რასაც კი ეს მისიონერები რამე ცნობებს სწერდნენ საქართველოს შესახებ, ამ მასალების თითო ასლს, ანუ პირს ამ ტრაპიზონის მისიონერთა არქივში მგზავნიდნენ შესანახად, თავის დროს, ამ არქივში საქართველოს შესახებ იმდენი მასალები მოგროვდა, რომ აქ მისიონერები ამ მასალებით თავისუფლად გაიცნობდნენ ხოლმე საქართველოს. 1752 წ. ამ არქივში გადიტანეს თბილისიდან დიდალი ისტორიული მასალები და წიგნები. ეს ცნობებიც „მისიონერების დღიურიდან“ არის ამოკრებილი.

1780 წ. ახალციხიდანაც გადიტანეს ყველა ისტორიული მასალები, რაკ კი მინამდის დაცულ იყო იგინე ნაოლისციხის ეკლესიის არქივსა და სამკითხველოში. 1795 წ. გორიდან გადიტანეს სხვა და სხვა ისტორიული წერილები საქართველოს შესახებ. 1800 წ. გადიტანეს ყველა ისტორიული ცნობები, რაკ კი არსებობდა და ინახებოდა თბილისში. სხვა და სხვა დროს გადაუტანიათ ხოლმე, მათი ცნობები ჩვენ არა გვაქვს. ვიცით კიდევ ისეთი მაგალითებიც, რომ საქართველოს შესახებ წიგნები და მასალები საქართველოში ტრაპიზონში გაიტანეს შემდეგ ლათინის ბატონებმა. 1752 წ. თბილისიდან გადიტანა ბევრი წიგნები და მასალები პატრმა ბონეფეცერო, პატრმა ჯერმინემ, 1780 წ. პატრმა მაგრომ, პატრმა ნიკოლამ, პატრმა ფილიპე პირველმა 1795 წ. ახალციხის თემიდან მოღალად გადიტანეს 1829 წ. ასე რომ 1830 წ. ტრაპიზონის არქივი ცნობილი იყო, როგორც ბინა საქართველოს ისტორიის მასალები. ტრაპიზონის საქართველოს ისტორიულ არქივს მიხ. თამარაშვილიც მოიხსენიებს ხშირად. 1860 წ. ტრაპიზონში მოვიდა მოგზაური მარენგო. ამ მოგზაურს მხურდა საქართველოს გასწვამ, ტრაპიზონში მან იმდენი მასალები ნახა საქართველოს შესახებ, რომ ტრაპიზონში დარჩათ, საქართველოში აღიარ დაბრუნდა და იქვე არქივის მასალები და მისიონერთა ცნობებით დასწერა საქართველოს ისტორია ფრანგულ ენაზე, რომელიც 1880 წ. პარიზში დაიბეჭდა კიდევ. ამ მოგზაურ მისიონერ მარენგოს გარდა სხვა მისიონერებსაც ბევრჯერ დაუწერიათ საქართველოს შესახებ შინაარსიანი წერილები, რომლის მასალები ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის სამკითხველოს არქივიდან ამოუკრებიან. ტრაპიზონის ქართული ისტორიული არქივის ცნობები 1860 წლებამდის საქართველოში ხშირად ისმოდა, მერე კი მისუსტდა და დღეს როგორ არის ამ ისტორიული ქართული არქივის საქმე ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ის კი ვიცით კარგად, რომ ამ არქივში ბევრი ისეთი ძვირფასი მასალები იყო დაცული, რომელთა მოპოვებაც სხვაგან შეუძლებელი იყო და დიდად იშვიათი. ასეთია ისტორია ტრაპიზონის ქართულის არქივისა. ტრაპიზონის არქივის დაარსება კარგად იქნა ცნობილი პაპის წინაშე, პაპის კონგრეგაცია, ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია დანიშნა თავის მისიონერთა და „შარაპანდო ფელის“ წევრთა შუაგულ შიდა ცენტრად. საქმე ისე მოეწყო, რომ ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარს დადგა არქივის შედგენელები და მასთან მოგზაურ მისიონერებისთვისაც დახმარების და გეგმის მიცემა, თუ მათ როგორ უნდა ემოგზავრათ საქართველოში, ანუ აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ტრაპიზონის არქივს აქვდა ქართულად შედგენილი დაბეჭდილი რუკები, მასთან აქვდალით სახელმძღვანელო სამოგზაურო წიგნები, აქედანთ საქართველოს გეოგრაფიული წიგნები, აქედანთ ქართულ-იტალიურ, ქართულ-ფრანგულ და ქართულ-ოსმალური სახელმძღვანელო წიგნები და ენების შესასწავლი სახელმძღვანელო. რომიდან ტრაპიზონში მოდიოდნენ მძანი დომინიკონელები, მძანი აფესტონელები, ფრანკოელები, თითო-ნელები, სხვა და სხვა ორდენის მძანი იესუიტები, მძანი ლაზარისტები და ყველა ესენი ტრაპიზონის არქივის დახმარებით სწავლობდნენ ქართულ ენას და ისტორიას, ყველა ესენი საქართველოს ამ არქივის დახმარებით ეცნობოდნენ. ამ მისიონერებს ბევრი აქვთ ცნობები როგორც საქართველოს შესახებ, ისევე ლაზისტანის და ლაზების, რის ცნობებსაც მიხ. თამარაშვილიც მრავლად იხსენიებს. ამ არქივის ცნობებიც მრავლად იყო ანუსხული სხვა და სხვა მისიონერულ დღიურებში, რომელიც თბილისში აქედან პატრს პავლე კოპიაჯოვს, შარაპანდოს ქართველი სომხის კათოლიკე მძარის, ქართველი სომხის კათოლიკე მძარის, ქართველი სომხის კათოლიკე მძარის წინამძღვარს, თვით ამ მოძღვარებმა ბევრი ამბები იცოდა ტრაპიზონის არქივის შესახებ და მისიონერ მარენგოსაგან დაწერილი საქართველოს ისტორია და წმ. ნინოს ცხოვრება, ფრანგულს ენაზე დაბეჭდილები და პატივცემულმა ავტორმა მარენგო და ისიც გადმოცხად, რომ წიგნები დაწერილია ტრაპიზონის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის არქივის მასალებიდან. ასეთი მდიდარია ტრაპიზონის ქართველ არქივი.

ტრაპიზონის არქივი უცხოვრიად მრავალ და ხშირად ქართველ გვარის კათოლიკის მღვდლებსაც ამათვე დიდიძალი მასალები უწერიათ ოსმალეთის საქართველოს შესახებ და აქ უტოვებიათ ყველა ეს მასალები. ქართველ კათოლიკებმა ტრაპიზონი გახადეს ასეთ ცენტრად და ასეთ რეზიდენციად მის გამო, რომ საქართველოში კათოლიკის სომეხთაგან ხშირად ეძლეოდნენ დევნას, აობრებას, წამებას და ტრაპიზონში კი მათ ხმას არავინ სცემდა, იქვენი თავისუფლად სცხოვრებდნენ და მოქმედებდნენ.

საბანსიო მასა

20 აპრილს შესდგა საზოგადო კრება თბ. თავდა-ანხურთა საადგილო-მულო ბანის საპნისო კასის მონაწილეთა შუ. თ-დ. მ. ა. გროუნისკის თავმჯდომარეობით. კრებას მოხსენიდა ანგარიში კასის მოქმედებისა 1915 წლისა. როგორც ანგარიშიდანა ხსნას კასის ბალანსი 1 ანგარი 1916 წ. ულრის 142,106 მან. 24 კაბ. აქტივი კასისა გამოიხატება შემდეგ ციფრებში: ნაღდ ფულად ყოფილა 66,686 მ. 24 კ. მიმდინარე ანგარიშზე—41,656 მ. 65 კ. მომდინარე ქალაქდებში 182,980 მ. 20 კ. პროცენტები 6,562 მ. 11 კ. პენსიები 3078 მ. 52 კ. საოპერაციო ხარჯები 184 მ. 88 კ. მომავალი ხარჯები 231 მ. 34 კ.; პასივი კასისა გამოიხატება შემდეგ ციფრებში: ბანკის თანა—10,226 მ. კასის მონაწილეთა თანა 18,210 მან. 85 კ. პროცენტები 7668 მ. 43 კ. გაღუბდელი პენსიები 19 მ. 50 კ. ფონდი 145,350 მ. 14 კ. 1915 წ. კასის გაუცია პირადად 823 მ. ქრებიებისა 2,116 მ. 40 კ. კასის მონაწილეთა რიცხვი უდრიდა სულ 62 მონაწილეს ამათში 55 მამაკაცი და 7 ქალი. კრებამ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ ფარულ კენჭის ყრით მოახდინა არჩენები კასის გამგე კომიტეტის შემადგენელობის. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა შუ. თ-დ. მ. ა. გროუნისკი, ხოლო წევრებად თ-დ. დ. ა. ფავლეშვილი, ლ. ა. ფურცელაძე თ-დ. ი. ნ. რიტივილი და ს. ფ. ნათიშვილი. კანდიდატებად თ-დ. კ. ზ. მაყაშვილი ა. მ. ქართველიშვილი და ლ. კობახიძე.

ანგარიში

ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოების მიერ 1916 წ. თებერვლის 14-ს თბილისის სახანოთა თეატრში გამართულ შიო მღვიმელის დღისა.

Table with 2 columns: Name, Amount. Includes items like 'შემოსავალი', 'გაყიდულ ბილეთების ფასი', 'პროგრამები და წიგნაკები', 'წერილი „პრემიები“', 'შემთხვევითი შემოსული', 'შემოწირულებანი', 'ქართლ-კახეთის თავდა-ანხურებისაგან', 'საზოგადოებისაგან', 'ქართ. საქველმოქმედო საზოგადოებისაგან', 'თბილ. ქართ. გინეზიის მასწავლებელთაგან', 'თბილ. ქართ. ქალთა გინეზიის მასწავლებელთაგან', 'ამრამ ტურაშვილისაგან', 'ამხანაგებისაგან', 'ლორინდე ებისკოპოსისაგან', 'გიორგი ებისკოპოსისაგან', 'კატ. ივ. სარაჯიშვილისაგან', 'კნ. ელის. ნიკ. მუხრანსკისაგან', 'ჩაგუნავას ქალებისაგან', 'ბაქოს ქართველ სამღვდლოებისაგან', 'ანტონი ებისკოპოსისაგან', 'კნ. მარ. ვახტ. ჯამბაქურიორბინისაგან', 'არქიმანდრიტ ნახარისაგან', 'ნინო ნიკ. გაბაშვილისაგან', 'თ-დ. კ. ნ. აფხაზისაგან', 'თ-დ. ი. ნიუარამისაგან', 'თ-დ. ერ. ჩოლოყაშვილისაგან', 'სულ. 2542-19', 'დანახარჯი', 'თეატრის ქირა, სამხედრო გადასახადი და სხვ.', 'გვარი ხარჯები', 'ორკესტრის და ორიალის ქირა', 'სტამბის ხარჯი, პუბლიკაციები, აფიშების გაცემა და სხვ.'

Table with 2 columns: Name, Amount. Includes items like 'წერილი, საკინცელოარიო და სფოსტო ხარჯი', 'აკომპანიატორს.', 'დღიური მონაწილე ბავშვების გამასახიზლება', 'სულ. 940-87', '1601-82', 'წმინდა შემოსავალი', 'აქედან 601 მან. 52 კაბ. გადაეცა სხვა და სხვა დროს შიო მღვიმელს, ხოლო 1,000 მანეთი დროის გამმართულ ხაზინადარის სახელზე იქნა შეტანილი ბანკში შიოს ფონდის დასარსებლად.', 'ამას გარდა, ქუთაისში და ქიათურაში გამართულ შიოს დღესასწაულს გადაეცა წმინდა შემოსავალი 855 მან. 65 კ., საიდანაც 405 მან. 65 კაბ. გადაეცა მგოსანს, ხოლო 450 მანეთი მიემატა შემოსენებულ „შიოს ფონდს“.', 'ამ რიცხვად დღემდე კომისიის განკარგულებაში იყო 2,450 მან. 47 კაბ. ნაღდი ფული, საიდანაც 1,007 მან. 47 კაბ. მგოსანს გადაეცა, ხოლო ბანკში შეტანილია („შიოს ფონდი“) 1,450 მანეთი.', 'ამასთანვე ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების სამქო უღრმეს მადლობას მოახსენებს ბ. ბ. ალ. წყურწინავს, სოფრ. ტარუაშვილს, ფხალაძეს, კ. ჩარკვიანს და მის გუნდს, „განათლების და ქართველ ქალთა ამხანაგობის კრების სასწავლებელთა ხელმძღვანელთა და მოწაფეების, თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობათ, ქალბატონთა ცოცხაძეს და ფალიაშვილს, კოპელიცის, ლავრიაშვილის ყიფშიძის, მათურელის, თველიაშვილის, დანელიას, ხახუტაშვილის, და სხვ. ბავშვებს, დილის გამმართულ კომისიის წევრებს, შემოწირველთა და საერთოდ ყველას, ვინც შიო პირადის დახმარებით ან სხვა რითიმე ხელი შეუწყო საზოგადოებას დილის გამართვაში.', 'ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ანგარიში.', 'ქართ. კულტ. მოყვ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე გ. ფორდანი.', 'მიღებანი ივ. ბერიაშვილი.'

გამოსაღები ცნობა

კავკასიის სამკურნალო ადგილების ცნობის მიხედვით ზიურკო (ბარიათინისკის ძუხა № 6) უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ლიაა სალამის 5-7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14-96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს.

პიკნა-ფუაშვილის

პიკნა-ფუაშვილის პროგრამები და ლექსების კრებულზე, რომელსაც დაერთვის ბიოგრაფია-წინასიტყვაობა და მ. პასხაძის კრიტიკული წერილი. წიგნი ეღირება ათი შაშვად.

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6-23. გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; გვისრულობთ ყოველნაირი ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, სერვის, საქარნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკეთიას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყოფი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

„ბუნათმეცნა“-ში

ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გავგზავნება მსურველთა მოთხოვნის მიხედვით. პრივიციულ აგრეთვე გავგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი სურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრო“, „საქართველო“, „ეშპის მთარახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ხეობითი“, „უფრ. განათლება“ კავკასიურ სლოვი“, „თბილისის ლისტუკი“, „აორიზონი“, „მშაქი“ და „ხაიაბალი“. ფული და წერილი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе. ტელეგრაფის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თავისი გრეფული

ამ. გეგელოვანი პუშკინის ქუჩა, საკუთ. ხახ., № 9, ტელეფონი № 712. განყოფილება ავლაბარში კახეთის ქუჩა, საკუთ. ხახლი, № 6, ტელეფონი № 712 ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საჯარო სახლ. „მ. მამილაშვილი-შვიტი, სა-მრეწველობიდან ახალი ქვირითის მანქანა, მცირე მარლიანი, შავი „მე-შინი“ ხიზილა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკერის ზუთი, თარით, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.